№ 131 — 1877—1900 — № 131

სამშაბათი, 20 ივნისი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაგარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## იყიდება კუკიის გაჯი.

ეს გაჯი ყველა სხვა გაჯსა სჯობია სითეთრით, სიმაგრით და სისუფთავითაც.

ბევრმა არ იცის ესა და ყიდულობს სხვა გაჯს, რომელიც რამდენისამე კაპეიკით უფრო იაფადა ჰღირს. რათა შემდეგში მუშტარი არ მოტყუვდეს, იმ პოვოსკებს, რომლითაც კუკიის გაჯსა ჰყიდიან, ესტი ექმნება მიკრული ამნაირის წარწერით: **„კუკიის გაჯი".**

ვისაც ჰსურს ეს გაჯი შეიძინოს, უნდა მიჰმართოს მეიჯარადრეებს თოფაძესა და ჩხეიძეს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიასთან, ნადიროვისა და დოლუხანოვის მამულში. მოიჯარადრეებს 15 ცხენი ჰყავთ გაჯის საზიდავად. (15—128—5)

## „ივერიის" რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისსავე პირველ რიცხვამდე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**გ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სდოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**სალამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ქუჩა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის მეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. გ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ვ. გ. წერეთელი,** 6—8 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

**ვ. გ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.**

## მკურნალი

## ვ. გ. წერეთელი

იღებს შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 საათამდის.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

## ქუთაისის ჭაცვიცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—19)

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 19 ივნისს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს მიხეილის დარბაზში, სადაც დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სურათია, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის ნაფიცის ვექილის გაბრიელ სულხანის ძის ტერ-სტეფანოვის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გარდაიხადა დეკანოზმა სამხედრო ტაძრისამ მ. ვინოგრადოვმა ორის მღვდლის თანადახმარებით. პანაშვიდის გარდახდის დროს ჰგალობდა სამხედრო ტაძრისავე მგალობელთა გუნდი. პანაშვიდს დაესწრნენ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე, სენატორი ს. ბ. ვრასსკი, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე მ. მ. შარიგინი და სამოსამართლო პალატისა და ოლქის სასამართლოს თითქმის ყველა წევრნი, ნაფიცნი ვექილნი, ნაფიც ვექილთა თანაშემწენი და სხვანი.

*** წელს კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლა დაამთავრა, სხვათა შორის, ერთმა ქართველმა—მათე ოქროპირიძემ, ხოლო ყაზანისაში—მიხეილ ფხალაძემ.

*** ამ წინაზედ ახალ ამბადა გვქონდა, რომ ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში ამ წელს ქართველთაგან 15-მა დაამთავრა კურსი. როგორც ახლა აღმოჩნდა, ერთი ამათგანი, გ. კოჩინაშვილი, შეცდომით გამოგვრჩენია.

*** ჯერ დღემდის ტფილისის გუბერნატორის კანცელარიას 582 რუსეთის ქვეშევრდომისათვის მიუცია საზღვარ-გარედ წასასვლელი პასპორტი. ამათგან უმეტესობა პარიჟის მსოფლიო გამოფენის სანახავად მიდის.

*** როგორც საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, საქალაქო და სამაზრო სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ უფლება ეძლევათ სააფთიაქო მოწაფის წოდება მიიღონ იმ შემთხვევაში მხოლოდ, თუ ლათინურიდგანა, ალგებრიდგანა და ერთ-ერთ ახალ ენიდგან, ფრანგული იქნება თუ გერმანული, დამატებით ეგზამენს დაიჭერენ.

## ფელეტონი

### კერძო თაყვანისცემლობა ჩვენში.

(ჩვენის ლიტერატურულ ზნე-ჩვეულებიდგან).

(დასასრული *)

დღეს ჩვენი საზოგადოება კანს იცვლის, ერთის მდგომარეობიდგან მეორეში გადასვლის შუა ხანაშია. მხოლოდ დღეს გამოდის იგი ბრბოს მდგომარეობიდგან და ეს მდგომარეობა, როგორც საზოგადოდ მშობიარება, ყოველთვის მწვავეა. ამ შემთხვევაში ბრბოსაგან უნდა შეიქმნას ორი ელემენტი, რომელთ შორის ერთი შეგნებულ პირადობის წარმომადგენელი იყოს, მეორე საზოგადოებრივის. ძლიერ კარგი ვითარებაა საჭირო, რომ ადვილად მოხდეს კერძო ადამიანთა გამოსვლა, გამოყოფა ბრბოს მდგომარეობიდგან და ეს კერძო ადამიანნიც საზოგადოებრივ მისწრაფების მხრივ განვითარდნენ. ჩვენში ჯერ არ არის განმტკიცებული იარადობაზედ რიგიანი აზრ-შეხედულება და ამავე დროს საჭირო ხდება, რომ საზოგადოებრივმა მისწრაფებამაც, სულთა სწრაფვამაც ფეხი მოიკიდოს კერძო ადამიანში და რიგიანი ნაყოფი გამოიღოს. ჩვენის საზოგადოების განვითარების საქმე რომ ბუნებრივად სწარმოებდეს, თავისუფლად მიმდინარეობდეს და არა ძალ-დატანებით, მაშინ ისე ძნელი არა იქნებოდა-რა. მაგრამ დღევანდელ გარემოებაში ათასნაირი დამაბრკოლებელი მიზეზი *) აქვს კერძოდ ადამიანსა და თვით საზოგადოებასაც ასე ბუნებრივად, ძალ-დაუტანებლად განვითარების საქმეში და კიდეც ამიტომ აუცილებელი შეიქმნა შიში, რომელიც მართლაც საზოგადოების დამღუპველია. შიში და მასთან ერთად უთავბოლო კერპთ-თაყვანისცემა არ ისპობა, რადგან კერძო ადამიანი არ განთავისუფლებულა მონობისაგან, არ მომხდარა ინდივიდუალიზაცია და თან საზოგადოებრივ ინტერესებისა და მისწრაფების, სულთა სწრაფვის შეგნება.

მეთვრამეტე საუკუნემ ჩვენ პირადობის განვითარების აუცილებლობა გვიანდერძა და თუ დღეს საშიში არის რამე, საშიშია მხოლოდ ინდივიდუალიზმის შემბორკველი, შემავიწროებელი გარემოებანი. ამასთანავე მეცხრამეტე საუკუნემ თეორიულად და პრაქტიკულადაც განგვიმარტა, რომ რამდენიც უნდა იზარდოს პირადობის უფლება, ეს ზრდა არამც და არამც არ უნდა შეჰბღალვიდეს სხვისის კანონიერს ზრდასა და ბედნიერებას. საუბედუროდ ეს საუკეთესო ანდერძი ვერ შესრულებულა ჯერ-ჯერობით ვერც ჩვენში და ვერც სხვაგან და მხოლოდ განვითარებულ პირადობას ყოველისავე უფლების მოთავსება სხვის ამ გვარსავე სულთა სწრაფვასთან, მისწრაფებასთან შეუძლიან საუკეთესო ხანა შეჰქმნას კაცობრიობის კულტურულ განვითარებისა. სამწუხაროდ, ჯერ მგელ-კაცობაა გამეფებული საზოგადოდ ცხოვრებაში და კერძოდ მწერლობაშიაც. კაცობრიობამ საზოგადოდ და ერებმა კერძოდ ბედნიერ მდგომარეობამდის რომ მიაღწიონ, დიდად საჭიროა მტკიცე და უნაკლო ხასიათის შემუშავება, სამარცხვინო ვნებათა დათრგუნვა და ამისთვის ხომ მოქალაქობრივი სიმამაცე არის საჭირო, რომელიც იშვიათი მოვლენაა დღეს და ამასთანავე თვით შეგნებულის პირადობისა და განვითარებულ საზოგადოებრივ მისწრაფების შედეგია.

უარესი მტერი არა ჰყავს ადამიანს, ერს, როგორც გამოურკვეველი წარმოდგენა თავის თავის გამო, ძლიერის წინაშე თავის მოკატუნება, თავის დამცირება, უძლურის წინაღმდეგ გალაშქრება. ყოველივე ეს ნამდვილი ნიშანია უძლურებისა. ასეთი სამარცხვინო მოვლენა ყოველ საზოგადოებაში ყოველ დროს მოიპოვება, მაგრამ ამ გვარივე მოვლენა ლიტერატურაში დიდად მავნებელია. მართალია, ლიტერატურა ცხოვრების სარკეა, იქა სჩანს ცხოვრება ყოველის თავისის ნაკლითა, კარგითა და ცუდით, მაგრამ როდესაც ლიტერატურა იმავე ნაკლულევანებითაა სავსე, რომლითაც სდუღს და გადასდუღს ჩვენი ცხოვრება, რამ უნდა შესცვალოს უგზოუკვლო ცხოვრება, რამ უნდა გაუტაროს მას კვალი განახლებისა?! ერთად-ერთი იმედი ამ მხრივ მწერლობაა და მწერლობა-კი ჰლამობს უარჰყოს თვისი დანიშნულება, რადგან საგნად პირადობის სამსახური გაიხადა. როგორც ცხოვრებაში ჩვენის თავის მეტი არა გვწამს-რა, საკუთარ ჩვენის ინტერესების მეტი, ისე ლიტერატურაშიაც მხოლოდ ჩვენი თავი გვწამს. ჩვენი მწერლობა პირადობის მწერლობაა უფრო, ვიდრე საზოგადოებრივი; პირადობას, წვრილმან ინტერესებს უფრო ემსახურება, ვიდრე საზოგადოებას.

რადგან მკითხველი საზოგადოება ჩვენში ძლიერ ნორჩია, ცოტაოდენის განათლების მქონეა, ადვილად ვერ გაარჩევს, სად არის სიმართლე და ჰყვება უფრო მოდას ფეხის ხმას. ამ გვარი მკითხველი პატარა ნიჭის პატრონსაც კი გაადმერთებს. ჩვენი ლიტერატურა კი ისე ღარიბია დევ-გმირებით, რომ ადვილად ჩამოვთვლით, ვინც შეადგენს ჩვენის ლიტერატურის მშვენიერებას. ლიტერატურაც იმ გვარსავე კანონს ემორჩილება, როგორსაც ემორჩილება ყოველივე ქვეყნად: განვითარების (ევოლიუციის)

*) იხ. „ივერია № 130.

*) განა ის ცოტას ჰნიშნავს, რომ იმისთანა ერობასთან ვცხოვრობთ, რომელთაც საკმარისად შეუთანხმებიათ და შეუკავშირებიათ კერძო და საზოგადო ინტერესები და ჩვენ-ჩვენის კუჭის მეტი არა გვახსოვსრა, არა გვწამს-რა?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** საერო განათლების სამინისტროს სწავლულთა კომიტეტს განზრახვა თურმე აქვს სამინისტროსდაბალ და საშუალო სასწავლებლების მოწაფეთა წიგნთ-საცავებიდგან სრულიად გამორიცხოს ეგრედ წოდებული ფარრარის თხზულება „ცხოვრება იესო ქრისტესი“.

*** ფოსტა-ტელეგრაფის ინსპექტორს ბ-ნს ა. ა. ლეიფნერს ტფილისში ამ დღეებში მოელიან. ბ-ნი ლეიფნერი ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა სარევიზიოდ მოდის. ლეიფნერის მისაგებებლად ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი კ. მ. ლინდენი ალსტაფას მიდის,

*** როგორც საერო განათლების სამინისტროს მიერ შეკრებილ სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, ამ საუკუნის განმავლობაში პირველ დაწყებით სასწავლებელთა რიცხვი რუსეთში—316-დგან (1796 წელს) 78,924-მდე (1896 წელს) ასულა, ხოლო მასწავლებელთა რიცხვი— 744-დგან 113,984-მდე; მოწაფეთა რიცხვი 17,241-დგან 3,801,133-მდე.

*** 25 ივნისს გრენადერთა გრუზინსკის რაზმს 200 წელიწადი უსრულდება იმ დღიდგან, რაც იგი შესდგა. ამ დღეს რაზმს აზრადა აქვს იუბილეი გადაიხადოს. რაზმი 52 წელიწადია, რაც ალბულაღში სდგას (ბელი კლიუჩი). იუბილეისაც იქ გადაიხდიან. როგორც შევიტყეთ, ამ იუბილეის დაესწრებიან კავკასიის ჯარის სხვა რაზმების წარმომადგენლები, მთავარ-მართებელი, იმისი თანაშემწე, გენერლობა და სხვანი. ამ დღისათვის ტფილისის მაზრის ტფილისის საბოქაულოს მცხოვრებთ წოდების [განურჩევლად მოუმზადებიათ ადრესი რაზმისათვის მისართმევად. ადრესი მშვენიერის სურათებით არის შემკული და ხელოვნურად მომზადებულია. ეს ადრესი უკვე გამოფენილია სასახლის ქუჩაზედ, წატუროვის მაღაზიაში. ადრესი უნდა მიართვან რაზმს განსაკუთრებულ ამისათვის არჩეულმა დეპუტატებმა და მამასახლისებმა, ხოლო ადრესის წამკითხველად არჩეულია იოსებ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი შაბათს, 24 ივნისს, ალბულაღს წავა გრენადერთა გრუზინსკი რაზმის არსებობის 200 წლის საიუბილეო დღესასწაულობაზედ დასასწრებლად.

*** სიღნაღის საქალაქო სასწავლებელში ახალი თანამდებობა თურმე წესდება შტატ-გარეშე მასწავლებლისა. ამ მასწავლებელს წელიწადში ჯამაგირად 450 მან. ექმნება.

*** თელავის საქალაქო სასწავლებელს ნება-რთვა თურმე მიუღია, რომ მასწავლებელ-ინსპექტორის ბ-ნის მაენიკოვის პასუხის-მგებლობით სახალხო კითხვა გაიმართოს ხოლმე და ბუნდოვანი სურათები უჩვენონ.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით, ტფილისის 1 ლ დედათა გიმნაზიის მოსამზადებელ, I, II, III და V კლასებთან მომავალ ენკენისთვიდგან მესამე პარალელური განყოფილებანი თურმე არსდება. ამ განყოფილებებში შესვლის მსურველთ თხოვნები გიმნაზიის მმართველობას 20 აგვისტომდე უნდა წარუდგინონ.

*** ინგლის-ინდოეთის ტელეგრაფის საზოგადოება პირობით ვალდებული ყოფილა სამი სატელეგრაფო სკოლა დააარსოს რუსეთში. როგორც ისმის, ერთი ამ სკოლათაგანი თურმე ტფილისში გაიხსნება; სკოლაში მიიღებენ საქალაქო სასწავლებელში კურს დამთავრებულთ.

*** 1 ივნისადგან 8-მდე ტფილისში გადამდებ სენით 9 კაცი გამხდარა ავად; მათგან, წითელათი—5, ქუნთრუშით—2 და ხუნაგით—2.

*** როგორც „კვალი“ სწერს, 11 ივნისს, გუტენბერგის დაბადებიდგან ხუთასის წლის შესრულების დღეს, ტფილისის ასოთ-ამწყობებსა და მბეჭდავებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნიათ ქალაქ მაინცის მოურავის განსნერისათვის: „ტფილისის 400 ასოთ-ამწყობი და მბეჭდავი ვდღესასწაულობთ ხუთასის წლის შესრულების დღეს უდიდესის გამომგონის გუტენბერგის დაბადებიდგან და ვულოცავთ ქალაქ მაინცს, რომელმაც კაცობრიობას ასეთი შესანიშნავი პირი აჩუქა. პირველი სტამბა აქ საქართველოს მეფემ დააარსა 1709 წ. ამ ჟამად-კი 18 სტამბაა და თითქმის ამდენივე პროვინციის დაბა ქალაქებშია. გერმანელის მოგონების წყალობით ცოდნა და განათლება გადემოკრატდა, ხალხისათვისაც ხელ-მისაწვდენი შეიქმნა, რის გამოც ჩვენ, აზიელ მუშებსაც, შეძლება მოგვეცა დღეს თქვენ, ევროპიელთ, გამოგელაპარაკოთ და ჩვენი აზრი გაცნობოთ. გაუმარჯოს მაინცს, გაუმარჯოს გერმანიის ხალხს“!.

*** როგორც „ცნ. ფურც.“-ს ატყობინებენ, სოხუმის ოლქის უფროსად თურმე პოდპოლკოვნიკი პროგულბიცკი დაუნიშნავთ, რომელიც ადრე დაღესტანში მსახურებდა.

*** როგორც „ცნ. ფ.“ ატყობინებენ, ოდესაში წრეულს ოთხს ქართველს დაუმთავრებია უნივერსიტეტი. ამათგან ორს—სვიმონ ამირეჯიბს და გიორგი ხარაზიშვილს—იურიდიულს ფაკულტეტზედ, ერთს—ალექსანდრე კლდიაშვილს საბუნებისმეტყველოზე და ერთსაც, კონსტ. ჯაყელს — ისტორიულ-ფილოლოგიურზედ.

*** რედაქციამ მიიღო მე-V ნომერი ჟურნალ მოამბისა. შინაარსი: 1 შვიდის გოდება.—(ეტიუდი) შ. არაგვისპირელისა; 2, ნავარდობა,—IX—XIV.—ნაწილი მესამე—მოთხრობა მელანიასი, (გაგრძელება); 3,—დამონებულნი.—რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. ვაზოვისა, ნაწილი მეორე. —XXIV—XXXVIII, თარგმანი თ. ს—სი (გაგრძელება); 4,—სამკურნალოს აღწერა,—არქანჯელო დამბრტისა, (თარგმანი იტალიურით); 5,—„ვეფხის ტყაოსნის“ ყალბი ადგილები,—LXXV—LXXVIII—ალ. ს—შვილისა; 6, თავგადასავალი იმერთა მეფის სოლომონ დიდის შვილის-შვილის ბატონიშვილის გიორგისა,—(ავტობიოგრაფია) თ. ჟორდანიასი; 7,—ახდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში,—ივ. ჯავახიშვილისა; 8,—„ცხოვრება და ხელოვნება“.—ტოლსტოის ახალი რომანი „აღდგომა“, კიტა აბაშიძისა. ქრონიკა: 9,—შინაური მიმოხილვა,—ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება,—წოდებრივი ხასიათი კრებისა,—ცენზის შემცირების საკითხი.—უცნაური პოლემიკა.—„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ წევრთა კრება, — „საზოგადოების“ ანგარიში, — სამწუხარო მსგავსება,—ფორმალური აღსრულება მოვალეობისა,—ახალი დროის მოთხოვნილებანი და მათი დაკმაყოფილების საჭიროება,—ჭიათურა და მისი მცხოვრებნი,—საზარელი მდგომარეობა,—ვისი მოვალეობაა იზრუნოს მუშების ჯანმრთელობისათვის?—ისევ ტარიფი, საყურადღებო ცნობა,—დალისა. 10. —უცხოეთის მიმოხილვა:—ინგლის-ტრანსვაალის ომი,—აჯანყება ესპანიაში,—საფრანგეთის საქალაქო არჩევნები,—მოძრაობა ჩინეთში—დალისა.

—

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის“ მე-129 ნომრის ფელეტონში („უცხოთა შორის“), მე-6 სვეტში შეცდომით დაბეჭდილია: „ეს ჯარი ქაღალდზედ 350,000 კაცი ითვლება, ნამდვილად-კი იგი 40 კაციც ძლივს იქმნება“. უნდა იყოს: 40,000 კაციც ძლივს იქმნებაო. „ივერიის“ მე-130 ნომრის პირველ ახალ ამბავში შეცდომითვე დაბეჭდილია: სამეურნეო საზოგადოების საბჭომ წარუდგინა მეურნეობის მინისტრის ამხანაგს მოხსენება, რომელშიაც სთხოვს „შემწეობა აღმოუჩინოს სამინისტრომ საზოგადოებას ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მოწყობის საქმეში“. უნდა იყოს: ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის მოწყობის საქმეში“, იმავე ნომერში, ანაგიდგან მოწერილ ამბავში დაბეჭდილია: 1 ივნისს ცეცხლი წაეკიდა დარჩიაშვილის სახლს, „ზარალი ორს თუმნამდეა“. უნდა იყოს: „ზარალი ორას თუმნამდეა“.

## პატარა სიტყვა დიდს საქმეზედ.

—

მაისის დამლევსა და ივნისის დამდეგს სამჯერ დაისეტყვა ქვემო-მაჩხაანის ვენახები ხირსაზედ, რომლის ღვინო განთქმულია საუკეთესო ღირსებით. იშვიათი-ღაა ისეთი სოფელი კახეთ-ქიზიყში, რომ წელს ერთხელ მაინც არ მოჰხვედროდეს სეტყვა მის ვენახებს, ყანებს, ქერ-სიმინდ ფეტვებს, თამბაქოს, ხილნარს, ბაღჩეულობასა თუ ბოსტნეულობას, და არა თუ სიღნაღისა და თელავის მაზრა, თითქმის საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებნი დაღუპა წლეულაც წყეულმა სეტყვამ და ნუ თუ ეხლა მაინც არ ეცდება ენერგიულად კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოება, რომ უანგარიშო მეურნეთ თავიანთი ჭირნახულის სეტყვიდამ დაზღვევა შეეძლოთ ადვილად და ხელ-მოსაცემად კავკასიის მეურნეთაგანვე შემდგარ საურთიერთო საზოგადოებაში (როგორც ევროპაშია), სააქციონეროში (მხოლოდ არა დღევანდელის წეს-რიგით), თუ სახელმწიფოსაგან საამისოდ მაზრებში დაფუძნებულ კანტორებში. დიაღ, ეს სწორედ კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოების წმინდა მოვალეობაა დროზედ იშუამდგომლოს უმაღლესის მთავრობის წინაშე და წამალი დასდვას მიწად-მომქმედ ქვეყნის უმრავლესობას, თორემ რა გამოვა მარტო იქიდგან: ხსენებული საზოგადოება რომ ქვეყნის მეურნეობის ახალ წეს-რიგით გაუმჯობესება-აყვავებას სცდილობდეს საქმით თუ სიტყვით და ჯერ უწინარეს აყვავებულ მეურნეობისაც უებად გამანადგურებელ სეტყვისაგან დაღუპულ-დაზარალებულ ქვეყნისათვის-კი საშველ მალამოს არ ეძიებდეს?

დროა ამ ჭირიდამაც თავის დაღწევ საქმეს ადრე და მალე შევუდგეთ, თორემ იღუპება ქვეყნის უმრავლესობა, რადგანაც ხსენებულ ღვთის რისხვისაგან ნივთიერ ძალ-ღონე მოკლებულთა მიწა-მამულები ნაცვლად კეთილ-მაცხოვრებელ სხვადა-სხვა ნაყოფისა შამბნარ-ლიხიან ღვარძლა-ნარეკლით ივსება და დუღს და გადმოდის მრავალთა სავალალოდ და სავაგლახოდ.

ყველგანმყოფი

## უცხოეთი

—

**ჩინეთი.** ფრანგულ გაზეთ „Matin“-ში გადმობეჭდილია ზოგიერთი

---

კანონს. ლიტერატურას არ შეუძლიან ერთ წერტილზედ დგომა, არ შეუძლიან არსებობა მხოლოდ ძველის მოხსენებითა და განმეორებით. მშვენიერი ლექსები რომლისამე ჩვენის პოეტის, განმეორებული იმ გვარივე სახითა და შინაარსით სხვა პოეტებისაგან, ვერ მოგვხიბლავს. იცვლება ცხოვრების შინაარსი, უნდა შეიცვალოს ფორმა და შინაარსი გამოხატულის ცხოვრებისა. ამას უნდა ახალი ძალა. *)

მოკლედ რომ ვთქვათ, რთული შეიქმნა ცხოვრება, ცხოვრებისათვის ბრძოლამ მეტად უკუღმართი მიმართულება მიიღო და შემოქმედის ნიჭის საჭიროების მაგივრობა დაიჭირა გამჭრიახობამ, პრაქტიკულმა ცოდნამ, რომლის აუცილებლობამ დღეს უნდა გამოგვაფხიზლოს.

დღეს ისედაც არა ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი გვაქვს, რომ გამოგვიჩნდეს მწერალი, რომლის საგანი მხოლოდ სამშობლო ლიტერატურის სამსახური იყოს. მრავალ მიზეზს შორის ერთი უმთავრესი ლიტერატორის გამოურკვეველი მდგომარეობა არის ქონებრივი დამოკიდებულება, რადგან ქართული ენა, ქართული მწერლობა როდი არის ჩვენი ნამდვილი მკვიდრი დედა, იგი უფრო დედინაცვლის მდგომარეობაშია. ქართველის მკითხველის სიყვარული და ყურადღება გაუნაწილებია რუსულ მწერლობას, უცხო-ქვეყნის ლიტერატურას, ისე როგორც ნორჩს ბავშვს, ძიძასაგან აღზრდილის, საყვარელის დედის სიყვარული შესუსტებია. თუ რასმეს ჰხარჯავს ქართველი, ფულს, თანაგრძნობას, ისევ რუსულ და უცხო-ქვეყნის ლიტერატურაზედ და ქართული მწერლობა ელის მხოლოდ მოწყალებას, და მოწყალებით-კი ხომ ციხე-დარბაზი ვერ აშენდება. ამას დაუმატეთ ჩვენის დიდებულ ვაჟბატონების აჩქარება თვისის თავისა და შთამომავლობის დაღუპვის გზაზედ, იმ უკუღმართ ვაჟბატონების საქციელი, რომელთა ხელშიაც ჩავარდნილა მომეტებული ნაწილი ჩვენის ქვეყნისა, რომელსაც უფასოდ გვიყიდიან და მომავალ შთამომავლობას ცალიერ-ტალიერად სტოვებენ. ეს გარემოება არა-მცირედის უიმედობით იპყრობს ჩვენის მოაზრე ახალგაზდობის გულს და იკარგება ყოველივე მხნეობა, რადგან მხნეობას განხორციელებისათვის ნიადაგი—საკუთარი მიწა-წყალი უნდა. ამ არა-სასიამოვნო გარემოებას დღეს ემატება ის გარემოება, რომ სულ ცოტანი ვართ და აქაც ჯგუფებად დავყოფილვართ, თითო კერპი გაგვიჩენია და სხვებისა-კი არ გვინდა რამე ვიწამოთ. ჩვენში შეუძლებელია გამბედავი მსჯელობა, გამბედავი კრიტიკა. თუ ზოგს შემთხვევაში არ გვწამს თავისი თავი, სამაგიეროდ ზოგჯერ გვინდა სხვებზედ ვმეფობდეთ, სხვების პირადობას ვთელავდეთ. არ არის მოსაწონი, რომ თქვენის თავის ულონობა და უქკუობა იწამოთ, მაგრამ როდესაც არავისი ჭკუა და გონება არა გწამთ, მხოლოდ ერთი ვინმე გაგიბატონებიათ, ნამდვილი კერპი შეგიქმნიათ, მეტია ამავე დროს ამასვე თხოულობდეთ სხვებისაგანაც. დიდად საჭიროა, რომ არ შევქმნათ ცოცხალ ადამიანისაგან ვეებერთელა ძალა, მისთვის მხოლოდ, რომ მის წინაშე ჩვენი პირადობა მოვსპოთ. თუ რომელიმე მოღვაწე მართლაც ყურადღების ღირსია, პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ არასოდეს არ უნდა წავართვათ ჩვენს თავს და სხვასაც უფლება ავი და კარგი ამ მოღვაწისა განვიხილოთ, ავს ავი ვუწოდოთ და კარგს კარგი. პირ-იქით, ცუდის თვისებისა და მოქმედებისათვის უნდა გავკიცხოთ კიდეც, რადგან ზოგი საქციელი, თუ ეს საქციელი საზოგადოების საწინააღმდეგოა, მისის წინსვლის შემაფერხებელია, ყოვლად შეუწყნარებელია ჩვენში. ჩვენ შეგვიძლიან ქარაფშუტა ვაჟბატონებს მამულის სამუდამოდ დაკარგვა ვაპატიოთ, ან კიდევ საზოგადოების სხვა რაიმე საწინააღმდეგო საქციელი, შეგვიძლიან თავი მით დავიიმედოთ, რომ საბრალოებმა არა იციან, რასა იქმნანო, მაგრამ ჩვენის მოღვაწეების მოქმედება და მოსაზრება სულ სხვა-და-სხვაა. ისინი მისაბაძავი მაგალითები არიან. ამისათვის აუცილებელია მხოლოდ ღრმა პატივის-ცემა გვქონდეს ჩვენის მოღვაწეებისა, რადგან იმათ გული სტკივათ და კიდეც ჰმოქმედობენ საზოგადოების სასარგებლოდ.

დროა ყველა მოღვაწე ვიწამოთ, მაგრამ იმათ მეტი პატივი ვცეთ, ვისაც მეტი გაუკეთებია საზოგადოებისათვის, არამც თუ არ შეუწყვია ხელი ჩვენში ურთიერთ შორის დიდხანს ატეხილს უსიამოვნებისათვის, პირ-იქით, საგნად გაუხდიათ შფოთისა და ვნებათა ღელვის შემცირება. დროა გვქონდეს და ვიწამოთ ჩვენის ცხოვრებისა და მოღვაწეების სამართლიანი და დამჯდარი კრიტიკა. ამასთანავე მეტი მოქალაქობრივი მხნეობა გვესაჭიროება, მეტი თვისისა და სხვისის პირადობის სიყვარული, მეტი დამოუკიდებელი ხასიათი. თორემ ჩვენ ვერავითარი ნაბიჯი ვერ გადაგვიდგამს ცხოვრებაში, ვერავითარი საგანი ვერ გადაგვიწყვეტია თავის-და-თავად და უანგაროდ, სხვისი რჩევით უნდა ვისარგებლოთ, სხვისის ჭკუით უნდა ვიაროთ. როდემდის?!.

ე. ვაშაკიძე

---

*) მაგრამ ეს ახალი ძალა იმ გვარი კი არ უნდა იყვეს, როგორიც დღეს მოგვევლინა, რომელიც უფრო ოცნებით სცხოვრობს. ეს ახალი ძალა საფუძვლიანს მსჯავრს უნდა სდებდეს ჩვენს წარსულსა და აწმყოს, არ უნდა უარჰყოფდეს ერი ძირითადს საჭიროებას და ეს ძალა ძლიერ ნაკლებად უნდა იყოს იდეოლოგი, თორემ ჩვენში ადვილად მოგვეჩვენება ბურჟუაზია, კაპიტალისტური განწყობილება და მუშათა საგანი იმ სახით, რა სახითაც ეს საგანი არსებობს ევროპაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილები ჩინეთის რეფორმატორის კან-იუ-ვეის მოხსენებიდგან. ეს მოხსენება კან-იუ-ვეის წარსულის წლის ოქტომბერში შეუდგენია. „ჩინეთში სულ სამი დასია,—სწერს კან-იუ-ვეი:—ქვრივის იმპერატრიცის ანუ რეაქციონერთა დასი, იმპერატორის ანუ რეფორმათა დასი და ეგრედ წოდებული „სამეფლო“ დასი. თუმცა დღეს ჩინეთის საქმეებს ქვრივი იმპერატრიცა განაგებს, მაგრამ ამ იმპერატრიცას მეზგლი-იამენსა და ოფიციალურს წრეებს გარეშე, ხალხში მომხრეები თითქმის სულ არა ჰყავს. იმის მომხრენი და მახლობელნი მანჯურელნი არიან. ამათ შორის ყველაზედ მეტ ყურადღებას შემდეგნი იქცევენ: იუნგ-ლუ, რომელიც იმპერატრიცამ ჩინეთის ჯარის მთავარსარდლად დანიშნა, კანგ-ეი, რომელსაც მთელს ჩინეთში ხარჯის მოკრების საქმე აქვს მინდობილი, პრინცი ტუანი, სხვათა-შუ და სხვანი. იუნგ-ლუს გარდა ყველა ესენი ბრიყვი, გაუნათლებელი ხალხია, ფანატიკოსნი და ძველის ზნე-ჩვეულების მომხრენი. იუნგ-ლუ ჭკვიანი, განათლებული კაცია, მაგრამ ამასთან დიდი პოლიტიკოსი, ვაიძვერა და გაქნილი. დიდ მოხელეთა შორისაც ყველანი არ არიან იმპერატრიცის მომხრენი. იმპერატორის დასს შეადგენენ უფრო მოწინავე კაცები ჩინეთისა: ყველა ისინი, ვისაც ევროპიული განათლება მიუღია ჩინეთსა თუ ევროპაში და ზოგიერთი მოხელენი. წვრილი მოხელენი და მცხოვრებთა ცხრა მეათედი მესამე „სამეფლო“ დასს ეკუთვნის. ეს სამეფლო დასი მეტად პრაქტიკულ გზას ადგია; იმის პოლიტიკურ ფორმულას შემდეგი წინადადება შეადგენს: „ყველა უნდა ეცადოს თავისი საქმეები კარგად მოაწყოს და ბედნიერად იცხოვროსო“. ეს დასი უფრო იმპერატორის მომხრეა, ვიდრე იმპერატრიცისა. ხალხმა კარგად იცის, რაოდენად გაუნათლებელი და გახუცითაობებულია იმპერატრიცა. რამდენი ტანჯვა-წვალება მიაყენა ჩინეთს და რამდენი კაცი იმსხვერპლა მან 30 წლის განმავლობაში“.

— იმავე გაზეთ „Matin“-ში დაბეჭდილია ერთის მისსიონერის, მოლტხერის წერილი. წერილში აწერილია ის, თუ „დიდის მუშტის“ ბრბონი როგორ დევნიან მისსიას. ეს მისსია მიყრუებულ სოფელში ყოფილა. „ორის თვის წინად, სწერს მისსიონერი, ჩვენს სოფელს გარემო „დიდის მუშტის“ ბრბოები გაჩნდნენ. ერთ დილას 4 კაცი მოვიდა ჩვენთან და ქაღალდი გადმოგვცეს, რომელიც ულტიმატუმი გამოდგა. ამ ულტიმატუმში „დიდი მუშტი“ აცხადებდა, არაფერს ვნებას არ მოგაყენებთ, თუ შემდეგ პირობებს აასრულებთ: 1, ქრისტიანები მანდარინის სახლში საჯაროდ განუდგნენ კათოლიკეთა სარწმუნოებას; 2, დასწვან ყველგან საეკლესიო ხატები და სამღვთო წიგნები; 3, ქრისტიანეთა ეკლესიები და ნიშნები ჩინელების სარწმუნოების ტაძრებად გადააკეთონ; 4 ყველა მისსიონერები გავიდნენ ჩინეთიდგან; და 5, ამას გარდა იმავე მისიონერებმა გადაიხადონ კონტრიბუცია 4000 ტაელი. ჩვენ, რასაკვირველია, ასეთი პირობები არ მივიღეთ. ჩინელები წავიდნენ, მაგრამ წასვლის დროს გამოგვიცხადეს, რომ შემდეგ საღამოს ჩვენი კაცები თავს დაგესხმითო. გულ-მოდგინეთ შეუდგით მზადებას მომავალ ბრძოლისათვის. სოფელი ყოველის მხრიდგან გავამაგრეთ. ჩვენ თვითონ რაც რამ იარაღი გვქონდა, გავიტანეთ მოედანზედ და დავაწყვეთ იქ. დაღამებისას ქალები და ბავშვები ტაძარში შევიდნენ, კაცებმა-კი თოფები აიღეს და თავ-თავიანთი ადგილი დაიჭირეს. შუაღამემდის არაფერი ისმოდა. ღამე ბნელი იყო და შუაღამის შემდეგ ვერ შევნიშნეთ, როგორ მოგვიახლოვდა მოწინააღმდეგე. მაშინ გავიგეთ ამათი მოსვლა, როდესაც ხმა-მაღალი ყვირილი შემოგვესმა: „მორს ჩვენგან ქრისტიანები! სიკვდილი ქრისტიანებს!“-ო. მაშინ ჩვენ სროლა დავიწყეთ და ამ დროს შევამჩნიეთ, რომ მოწინააღმდეგენი მხოლოდ ხმლებითა და დანებით იყვნენ შეიარაღებულნი. ბევრმა ჩვენგანმა თოფის სროლა არ იცოდა, არც თოფები გვივარგოდა, რის გამო ჩვენმა სროლამ ვერაფერი ნაყოფი მოიტანა. ამიტომ განკარგულება მოვახდინე, თოფები დაეყარათ და ქვები დაეშინათ ჩინელებისათვის. ამ უცნაურმა ბრძოლამ 20 წუთს გასტანა. ჩინელები წავიდნენ. მეორე დღეს ბრძოლის ველზედ 50 მოკლულის კაცის გვამი გვნახეთ“. მეორე მისსიონერს ზენოს უთქვამს, რომ „დიდის მუშტის“ ბრბოები განსაკუთრებით ჩრდილოეთ პროვინციებში დათარეშობენ. შანტუნგის ჩრდილოეთით მათ 223 მისსია გაუნადგურებიათ. 5000 ქრისტიანზედ მეტი მოუკლავთ, ბევრისთვის კიდევ სახლ-კარი დაუქცევიათო.

— გაზეთი „Frank Zeit“-ი შემდეგ ამბავს გადმოგვცემს ტიან-ძინის შესახებ, სადაც ჩინელების და ევროპიელების დიდი ბრძოლა მოხდა და სადაც, როგორც დეპეშები გადმოგვცემენ, კიდევ მოხდება ბრძოლა: „ტიან-ძინში ევროპიელთა უფრო ბევრი ფირმაა, ვიდრე შანხაიში. ევროპიელთა უბანი გაშენებულია მდინარე პეიხოს ნაპირზედ. ეს უბანი სამ ნაწილად არის გაყოფილი: ერთ ნაწილში ინგლისელები სცხოვრობენ, მეორეში—გერმანელები და მესამეში—ფრანგები. ტიან-ძინში ევროპიელთ საუკეთესო მაღაზიები აქვთ“.

**ამერიკის შეერთებული შტატები.** მოახლოვდა საპრეზიდენტო არჩევნები და შტატებში საარჩევნო ბრძოლა დაიწყო კიდეც. კანდიდატი ორია: აწინდელი პრეზიდენტი მაკ კინლეი და ბრაიანი. მაკ კინლეის იმედი აქვს, რომ 27 შტატი დაუჭერს მხარს, ხოლო ბრაიანს—18 შტატი. კონგრესში პირველს 286 მომხრე ჰყავს, მეორეს—161 მომხრე. ჯერ-ჯერობით ვერ გადაუწყვეტიათ, რომელი კანდიდატი გაიმარჯვებს. ორივე მოწინააღმდეგეს დიდი მომხრეები ჰყავთ და არ იციან, არჩევნების დროს რომელი დასძლევს.

## სასამართლოს მატიანე

მასწავლებლის ს. წერეთლისა და ქ-ნ ს. არაფელოვის საქმე.

26 მაისს ტფილისის მე-2 განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწემ ბ-ნმა ს. პ. დიაკონოვმა განიხილა საყურადღებო საქმე ცნობილ ნავთის მწარმოებლის არაფელოვის მეუღლის ქ-ნ სოფიო არაფელოვისა, რომელსაც ტფილისის სამრევლო-საეკლესიო სკოლების გალობის მასწავლებელი ბ-ნი ს. წერეთელი უჩივის, ქურდობა დამაბრალაო.

ამა წლის მარტში, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ვიღაც არუთინ მუზლაკიანს მოუპარავს ბ-ნ არაფელოვის სახლიდგან პალტო და ვერცხლის სათუთუნე. მოსამსახურეს თვალი მოუკრავს ქურდისათვის და შეუმჩნევია რა სახისა და ტანის კაცი ყოფილა. შემდეგ, სახელდობრ 23 მარტს, ბ-ნი წერეთელი ნაშუადღევის 2—3 საათზედ საგუბერნიო სამმართველოში მიდიოდა თურმე საგუბერნიო მკურნალ ბ-ნ ქიქოძესთან, რომელიც სახლში უნდა მიეწვია ავადმყოფთან. ბ-ნ წერეთლისათვის საგუბერნიო სამმართველოსთან მოუსწრია ქ-ნ ს. არაფელოვისას, დაუძახნია პოლიციის მოხელესათვის და უთქვამს, ეს არის ჩემი პალტოს ქურდი და უსათუოდ პოლიციაში უნდა წამოიყვანოთო. ამ შემთხვევით განცვიფრებულს ს. წერეთელს აუხსნია ქ-ნ არაფელოვისათვის, რომ თქვენ სცდებით, ტყუილად მწამებთ ქურდობას, მე მასწავლებელი ესა და ესა ვარ და ქურდობა არ ჩამიდენიაო. ამასთან თავისი ადრესიც უთქვამს, მერე შეგიძლიათ მნახოთ, ეხლა კი მკურნალ ბ-ნ ქიქოძესთან მივდივარ და არა მცალიანო. ქ-ნ არაფელოვისას ყურადღება არ მიუქცევია ბ-ნ წერეთლის სიტყვებისათვის და იმის ბრძანებით პოლიციელს წერეთელი პოლიციაში წაუყვანია. ამ სცენის საყურებლად ქუჩაში ხალხი შეკრებილა. ბევრი დასცინოდა კიდეც თურმე წერეთელს. სწორედ ამ დროს გუბერნიის სამმართველოდგან ბ-ნ ქიქოძესაც მოუკრავს თვალი ამ სცენისათვის. პოლიციაში წასვლის დროს ბიჭ-ბუჭებს დასდევნებიან უკან წერეთელს და მისძახოდნენ, ქურდი დაუჭერიათო. პოლიციაში დაუბარებიათ არაფელოვის მოსამსახურე და უჩვენებიათ წერეთელი—ეს ხომ არ არის ქურდიო, მოსამსახურეს განუცხადებია: ეგ არ არის ქურდიო.

26 მაისს, საქმის გარჩევის დროს, მომრიგებელმა მოსამართლემ ჩვენება ჩამოართვა 5 მოწმეს და რადგანაც მოჩივნის ვექილმა ბ-ნ გ. გძელიშვილმა სთხოვა მოსამართლეს, რომ ზოგიერთი საბუთები მაქვს კიდევ წარმოსადგენი და აგრეთვე მოწმებიც მინდა დავასახელოო, გთხოვთ საქმის განხილვა გადასდოთო. მოსამართლემ შეიწყნარა ვექილის თხოვნა და საქმის განხილვა გადასდო 19 ივნისისათვის. მაგრამ გუშინ, 19 ივნისსაც, აღარ გარჩეულა საქმე: მოსამართლემ მეორედ გადასდო 30 ივნისისათვის. განაჩენს ამ საქმის გამო თავისს დროზედ დავბეჭდავთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ვუწყით, ეხლანდელ ომში უპირველესი არტილერიაა. ვისაც კარგი არტილერია ჰყავს, კარგი ზარბაზნები აქვს, გამარჯვებაც იმისი იქნება. აკი კიდეც იმიტომ სცდილობენ ახალ-ახალის საუკეთესო ზარბაზნების გამოგონებას. ეხლა, როგორც იუწყებიან, ელექტრონის ზარბაზანიც გამოუგონიათ ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ისეთი ზარბაზანი, საიდგანაც ყუმბარას ელექტრონის შემწეობით ისვრიან. ამბობენ, ასეთი ზარბაზანი დიდ ცვლილებას მოახდენს აწინდელს არტილერიაშიო.

* * *

ამას წინად შტატ მასსაჩუსეტის ქალაქ სპრინგფილდში დაუარსებიათ ქაღალდის ველოსიპედების მკეთებელი ქარხანა. ამერიკული ჟურნალები ძალიან აქებენ ამ ქარხანაში გაკეთებულ ველოსიპედებს და ამბობენ, რომ ის ქაღალდი, რომლისაგანაც ველოსიპედს აკეთებენ, ქვაზედ მაგარიაო. მთელ ველოსიპედს აკეთებენ ქაღალდისაგან, როგორც თვლებს, აგრეთვე სხვა ნაწილებსაც. ასეთი ველოსიპედი სუბუქიც არის, იწონის მხოლოდ 20—25 გირვანქას.

* * *

ერთ ინგლისურ ქარხანას მოუმზადებია პარიჟის გამოფენისათვის შესანიშნავი ტელესკოპი, რომელიც დღემდის გაკეთებულ ყველა ტელესკოპზედ დიდია. ამ ტელესკოპით მშვენივრად შეიძლება თურმე მთვარისა და პლანეტების დათვალიერება. ტელესკოპით სარგებლობა გამოფენაზედ ყველას შეუძლიან.

* * *

როგორც ვუწყით, ევროპის სახელმწიფოებში მრავალი სამკურნალო ადგილია. ყოველ წელიწადს ამ ადგილებს აუარებელი ავადმყოფი და კარგა მყოფი აწყდება, პირველნი—სამკურნალოდ, მეორენი—დროს გასატარებლად. ასეთი სამკურნალო ადგილი თუმცა ბევრია, მაგრამ უნაკლულო მათგანი არც ერთი არ არის: ზოგან ჰაერი არ ვარგა, ზოგს მდებარეობა ცუდი აქვს, ზოგან კიდევ სიცხეები იცის და სხვა.აი სწორედ ამიტომ ეხლა განუზრახავთ უნაკლულო კურორტის დაარსება. საყურადღებო იმითია ეს კურორტი, რომ იგი გემზედ იქმნება მოთავსებული. აზრადა აქვთ ამისათვის საუკეთესო გემი აარჩიონ და სამაგალითოდ მოაწყონ იგი. გემი ერთ ადგილას არ დადგება, მუდამ მგზავრობაში იქმნება და ნელნელა დედამიწის ყველა საუკეთესო ადგილს შემოივლის. მკურნალები, როგორც ვუწყით, ზღვის ჰაერს დიდ მნიშვნელობას აძლევენ, ეს გემი-კი მუდამ ზღვაში იქმნება. შემოივლის გემი ხმელთა-შუა ზღვის ნაპირებს, ინდოეთს, ჩინეთს, იაპონიას და ჩრდილოეთ ამერიკას. ამ ნაირად გემზედ მყოფნი მუდამ ზღვის ჰაერზედაც იქმნებიან და დედამიწის საუკეთესო ადგილებსაც დაათვალიერებენ.

* * *

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამერიკაში ძალიან გავრცელდა ქაღალდის სახლები. იმავე ამერიკელებს განუზრახავთ ეხლა ქუჩები ზღვის ერთ-გვარის ბალახით მოკირწყლონ. ამ ბალახს ასფალტითა და ფისით ქღენთავენ, შემდეგ ჰქაჯავენ და ოთხ-კუთხიან აგურის მაგვარ ნაჭრებს აკეთებენ იმისაგან. ორი უპირატესობა აქვს ამ გვარის ბალახით მოკირწყლულ ქუჩას: ერთი ისა, რომ საოცარი მაგარია და დიდხანსა სძლებს, მეორე კიდევ—ეტლებისაგან ისეთი ხმაურობა, აღარ ისმის, როგორც ქვით მოკირწყლულ ქუჩაზედ.

* * *

მკურნალი-ქალები აზიის გაუნათლებელ სახელმწიფოებში უფრო ბევრ სამუშაოსა ჰშოობენ, ვიდრე თვით ევროპაში. შეიძლება აჩისი მიზეზი ისიც იყოს, რომ ევროპაში მრავლისაგან-მრავალ მამაკაც მკურნალებს მეტოქეობას ვერ უწევენ. ასე თუ ისე, ამ ჟამად ინდოეთში თითქმის არც ერთი ქალაქი არ არის, სადაც ერთი მაინც მკურნალი ქალი არ იყოს. აზიის თითქმის ყველა მეფეებს შინაურ მკურნალებად ქალები ჰყავთ. ამ ბოლოს დროს მკურნალი ქალები ჩინეთსა და იაპონიაშიაც გავრცელდნენ. ჩინეთ ში საუკეთესო სამკურნალო შანხაიში არსებობს, ხოლო ამ სამკურნალოში მკურნალებად მარტო ქალები არიან. ჩინეთის სხვა ქალაქებ შიაც ბევრი მკურნალი ქალია. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ძალიან ეტანებიან მკურნალ ქალებს და თითქმის გაურბიან მკურნალ-კაცებს და მისსიონერებს. როგორც იაპონიის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობებიდგან ჩანს, იაპონიაშიაც ძალიან ბევრი მკურნალი-ქალი ყოფილა; მხოლოდ ეს ქალები იაპონელებივე არიან, იაპონიის უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებული, მაშინ, როდესაც სხვაგან, აზიაში, მყოფი მკურნალი-ქალები ევროპიელნი, უმთავრესად ინგლისელნი, არიან.

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

პ

პაზის ძირა—მცენარეა, ბალახი. ქართ.

პაჟიანობა—ვაჟის ყოლა. შენი ვაჟიანობა გამაგონოს ღმერთმაო. ქართ.

ზ

ზარწყალი—წყალი და სისხლი, მუწუკიდგან გამოსული. ფშ.

ზიზია—ჭრელ-ჭრელი ბავშვთა ჩასაცმელი. ქართ.

ზინკლვა—ჰკოტვა. რას იზინკლები? რას ჰკოტავ? ფშ.

ზინტლი—ჭუჭყ, უსუფთაობა. ქარ.

ზინტლიანი—ჭუჭყიანი. ქართ.

ზმუკუნი—დუდღუნი, ბურტყუნი. ქარ. ფშ.

ზმუკი—წყევლაა.

ზროი—ისრის წვერი რკინისა, ფშ. ჩუბ. და საბას ღეროდ აქვთ ახსნილი.

ზურტუხი—საცემრად დაღირება, ცემის დაპირება. ფშ.

თ

თაბალა—ნაგვის საზიდავი ტყავ-გადაკრული ცხავი, ან ხოკერი. ქარ' ჩუბინაშვილი ხუნდად ჰხსნის.

თავგზიანი—ყოჩაღი, ყველაფრის მომხერხებელი. ფშ.

თავთავკვალი—ხნულის თავზედ წყლის სადენლად გადაჭრილი კვალი. ქართ.

თავკვერი—მსხვილ-მარცვალა შავი ყურძენია; ქერქი რომ გაჰყლიტო, ხელს წითლად შეჰღებავს. ქართლსა და კახეთში ღვინის წითლად დასაყენებლად ჰხმარობენ. კახეთში საფერავს ეძახიან. ქართ.

შავკაპიტო—შავი. ტკბილი ყურძენია.

თეთრი ყურძნებია:

ბუდეშური—ძალიან ტკბილი, მოგრძო მარცვლიანი ყურძენი.

მწვანე—საუკეთესო ღვინო იცის.

გორულა—თეთრი მსხვილ-მარცვ.

ჩინურა—აგრეთვე თეთრი.

ქყაპა—თხელ-კანა, წყლიანი ყურძენი.

თეთრი მდინარი და სხვანი.

თავსახურა—სახურავიანი თაბახი, ან ქვაბი. ფშ.

თავჩითა—თავშალი. ფშ.

თავწვერა—თავნება, ფშავ.

თახვი—თხუნელა. ფშ.

თბუნება, ჩათბუნება—თბილად ჩაწოლა ლოგინში. ქართ.

თეგოი—გარეულ ღორების საზამთრო ბინა. ფშ.

თელება—დასაჯდომად დაღრება, ფრინველები როცა ლეშს უნდა დაასხდნენ—ეთელებიან.

„მოკლეს მოკლია ხირხლაი,
ყორნები ეთელებოდა“. ფშ.

თვალ-მაისა—წითელ-თვალა პატარა თევზი. ქართ.

თიკრუნი—პატარა გუდა. ხევს. კიდევ გუდებია: შოლტა, ხასუნა, ქეშელა. ხევს.

თხორი—გორგალი დართულის ძაფისა. ფშ.

ი

Iლეთი—შნო, მშვენიერი შესახედაობა.

Iლეთიანი—ლაზათიანი, ლამაზი თვალადტანად. ფშ.

Iოგი—ნაწილი თითისა, суставъ, ფშ.

Iრმის-ტუხა—სოკოა. შემოდგომაზედ იცის ამოსვლა, ღრუბელსა ჰგავს, дрожалка, Fremellinei ფშ.

Iრმის ნაფრენი—ვარსკვლავნი, ცაზედ რომ გზასავით მისდევს ვარსკვლავთა გროვა, млечный путь. ფშ.

Iრმის ტერფა—ბალახია. ფშ.

თ. რაზიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 130.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ივნისი.

**ლონდონი.** საადმირალომ გამოაცხადა ჩიფუდგან გამოგზავნილი დეპეშა სეიმურისა 16 ივნისს: „პეკინამდე რკინის გზით ვერ მივედი და ამისათვის ჩემის რაზმით ტიან-ძინში დავბრუნდი. 31 მაისს ორჯერ თავს დაესხნენ „დიდი მუშტის“ რაზმები ჩვენს მოწინავე ჯარს, მაგრამ ორჯერვე უკუქცეულ იქმნენ და მასთან დიდის ზარალით, მაშინ როდესაც ჩვენ სრულიად არავინ დაგვკლებია. 1 ივნისს „დიდი მუშტის“ ჯარი თავს დაესხა, ჩვენს მატარებელს, მაგრამ მაშინვე უკუ-ქცეულ იქმნენ; მათ ზედ-მიწევნით ასი კაცი მოუკლა ჩვენმა ჯარმა, ხოლო ჩვენის მხრივ მოკლულ იქმნა 5 იტალიელი. შუა დღის შემდეგ „დიდი მუშტი“ თავს დაესხა ინგლისის დრაჯთ, რომელნიც სადგურ ლოფას დასაცავად დარჩნენ. მაშინვე გაგზავნილ იქმნა მაშველი

ჯარი და მტერი უკუ-აქციეს. „დიდ მუშტს“ მოუკლეს ას კაცამდე, ხოლო ჩვენის მხრით მოკლულია ორი ზღვაოსანი. ანტინგში რომ მივედით, რკინის გზა გაფუჭებული დაგვხვდა და მითი მოგზაურობა სრულიად შეუძლებელი შეიქმნა. ჩვენ გარდავწყვიტეთ იანცზუნში დავბრუნებულიყავით, რომ რაზმები მოგვეწყო, რომელსაც შესძლებოდა მდინარეს დაჰყოლოდა და პეკინში მისულიყო. როდესაც ლანგფონიდგან წავიდა „დიდი მუშტი“, საიმპერატორო ჯარი თავს დაეცა ორს მატარებელს, რომლითაც ჩვენი ჯარი უნდა წასულიყო. ჩინელებს 400—500 კაცი მოუკლეს, ჩვენგან—6 მოკლულია და 48 დაჭრილი; ორივე მატარებელი იანცზუში დამეწივნენ, სადაც რკინის გზის ლიანდაგი აშლილი იყო. რადგან ცოტა გვქონდა სურსათი და დაჭრილებიც გვიცარავდნენ გზას, იძულებულნი გავხდით დავბრუნებულიყავით ტიან-ძინში, სადაც მთელი ექვსი დღე არავითარი ამბავი არ მოგვსვლია არსაიდგან. დაჭრილნი 6 ივნისს ჩავსხით ნავებში და გავისტუმრეთ. მეამბოხენი, რომელნიც ერთი სოფლიდგან განვდევნეთ, მეორე სოფელში გადავიდნენ, კარგი სიმაგრე დაიჭირეს და იქიდგან გვიშლიდნენ გზის გაგრძობას. ამ სიმაგრეებიდგან რამდენჯერმე გავრეკეთ მტერი შუბებითა და ტყვია-წამლით. 10 ივნისს ჩვენ დიდი მანძილი გავიარეთ ღამით და გათენებისას საიმპერატორო თოფ-ხანასთან მივედით, რომელიც ტიან-ძინს ზევით მდებარეობს. აქ ჩინელები ჯერ მეგობრულად მოგვეგებნენ და მერე თოფები დაგვიშინეს. ჩვენ მოვუარეთ იმათ სიმაგრესა და ერთი ზარბაზანი წავართვით; გერმანელებმა წაართვეს ორი ზარბაზანი; შემდეგ თოფხანაც დაიჭირა შეერთებულმა ჯარებმა. ჩინელებმა თოფხანის უკანვე წართმევა მოიწადინეს. თოფხანაში ჩვენ ვიპოვეთ ახალი სისტემის ზარბაზნები და თოფები; ჩვენ ყუმბარები დაუშინეთ ჩინელების რამდენსამე ჩვენ წინ მდებარე სიმაგრეს; რადგანაც სასროლი მასალა და ბრინჯი საკმაოდ ვიპოვეთ, შევვეძლო რამდენიმე დღე დავრჩენილიყავით, მაგრამ დაჭრილთა გამო ტიან-ძინს მივმართეთ მაშველ ჯარისათვის, რომელიც 12 ივნისს მართლაც წამოგვეშველა. მეორე დღეს ტიან-ძინში მივედით, მაგრამ ვიდრე გზას შეუდგებოდით, თოფ-ხანა დავწვით. ინგლისელებს 27 მოუკლეს და 97 დაუჭრეს, ამერიკელებს მოუკლეს 4, დაუჭრეს 28, ფრანგებს მოუკლეს 1, დაუჭრეს 10, გერმანელებს მოუკლეს 12, დაუჭრეს 62, იტალიელებს მოუკლეს 5, დაუჭრეს 3, იაპონელებს მოუკლეს 2, დაუჭრეს 3, ავსტრიელებს მოუკლეს 1, დაუჭრეს 1, რუსებს მოუკლეს 10, დაუჭრეს 27“.

**ვაშინგტონი.** კაბინეტმა განიხილა კონვენცია, რომელიც ჩინეთიდგან მისმა ელჩმა მიიღო და რომელსაც ვიცე-კოროლებმა და ჩინეთის სამხრეთ პროვინციებში მყოფმა კონსულებმა უნდა მოაწერონ ხელი. კონვენცია სამხრეთ პროვინციებში მყოფ უცხოელთა ინტერესების დაცვას შეეხება. კონვენცია ჯერ ფორმალურად უნდა იქმნას მიღებული მმართველობის მიერ და მხოლოდ შემდეგ ექმნება მას ძალა. კაბინეტმა, განიხილა-რა იგი, დაასკვნა, რომ არც ერთი შანჰაიში მყოფი კონსული არას დროს არ დასთანხმდება კონვენცია ის პირობებსა, რის გამოც დაადგინა არ განიხილოს იგი.

**ლონდონი.** კანტონიდგან იუწყებიან, რომ ლიხუნგ-ჩანგი აღარ მიდის, რადგან მოულოდნელად მიიღო რაღაცა ბრძანება იმპერატორისა და იმპერატრიცასაგან. ლიხუნგ-ჩანგის ბრძანებით „დიდის მუშტის“ 130 მეკობრეს თავი მოჰკვეთეს, რომ მეამბოხეთ შიში მისცეს.

რობერტსი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან, რომ, როგორც ლინდლეიდგან მაცნობა გენერალმა პეჯეტმა, მას 13 ივნისს ბრძოლა ჰქონია ბურებთან, რომელთაც ძლიერი მაშველი ჯარები მიჰსვლიათო. იმავე დღეს თავს დაეცნენ ლინდლეისაკენ მიმავალ ჩვენს ურმებს, ათი მოკლულია და 54-მდე დაჭრილი; მეორე ბრძოლაში მოკლულია 3, დაჭრილია 23. ფიქსბერგთან მომხდარ შეტაკებაში 2 ოფიცერია მოკლული და 21 ჯარის-კაცი დაჭრილი. მეტუენმა მტერი სდევნა და 8000 ცხვარი და 500 ხარი და ძროხა წაართვა. მეტუენის ჯარში ოთხია დაჭრილი. გენერალი გენტერი დაუბრკოლებლივ ვაალისაკენ მიდის. ბურები სადგურს სპრინგს დაეცნენ, რომელიც იოჰანესბურგიდგან აღმოსავლეთისაკენ იმყოფება, მაგრამ იქ მყოფმა ჯარმა უკუ აქცია იგინი.

**პეტერბურგი.** როგორც სარწმუნო წყაროებიდგან გვატყობინებენ, შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა მიუღიათ, რომ რამდენსამე ადგილას ჩინელები, რომელნიც არ თანაუგრძნობენ „დიდ მუშტს“, რუსების მფარველობის ქვეშ გადავიდნენო. სხვათა შორის, ამგვარივე ცნობა მიღებულია ნოვო-კიეზსკიდგან.

**შანჰაი.** ოფიციალურის წყაროებიდგან იცნობებიან, რომ რუსეთის ადმირალს ალექსეევს ჩაჰბარდება სარდლობა სახელმწიფოთა შეერთებულ ჯარისა, რომელიც ჩრდილოეთ-ჩინეთშია ამ ჟამად.

18 ივნისი

**ლონდონი.** სამხედრო მინისტრს ჩიფუდგან დეპეშა მოუვიდა პოლკოვნიკ დორვარდსისაგან 17 ივნისს, რომლითაც ატყობინებს, რომ თოფხანა, რომელიც იმყოფება ტიანცზინიდგან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ, 14 ივნისს დაიპყრეს უცხოელთა შეერთებულმა ჯარებმაო. ინგლისის ჯარებიდგან მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში საზღვაო ბრიგადამ და ჩინეთის რაზმმა; ზარალი მოუკლეს 4 და დაუჭრეს 15, მათში 2 ოფიცერია; ინგლისელთა ჩინეთის რაზმმა უკუ აქცია „დიდი მუშტი“ და ძლიერად დაამარცხა.

**პარიჟი.** პალატამ ფლოტის გაძლიერების პროექტი დაამტკიცა. ახალი გემები 1908 წლამდე უნდა გაკეთდეს.

**ვენა.** „პოლიტ. კორესპ.“ სიტყვით, იაპონიის დაკითხვაზე ევროპის სახელმწიფოებმა ის პასუხი მისცეს, რომ ისინი ჩინეთს არ ეომებიან, რადგანაც მხოლოდ მცხოვრებთა უმეცრებასთან აქვთ საქმე.

**პარიჟი.** აქ ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი მოვიდა.

პალატა. ფლოტის გაძლიერების პროექტის განხილვაში არიან. პალატა ამტკიცებს პირველ მუხლს, რომელიც ექვსის ჯავშნიან ხომალდისა და ხუთის ჯავშნიან კრეისერის გაკეთებას შეეხება და აგრეთვე 118 მილიონ ფრანკის გადადებას სანაღმო ნავების გასაკეთებლად. პროექტით სანაღმო ნავებისათვის 68 მილიონს თხოულობდნენ, მაგრამ პალატამ, თანახმად პელეტანის თხოვნისა და მთავრობის თანხმობისა 50 მილიონი ფრანკი კიდევ მოუმატა.

19 ივნისი.

**პეტერბურგი.** ხივიდგან მოვიდა ხივის ხანის მემკვიდრე სეიდ-ასფენდიარ-ჯან-ტიური.

დეპეშა ვიცე-ადმირალის ალექსეევისა პორტ-არტურიდგან 14 ივნისს სამხედრო მინისტრთან გამოგზავნილი: „ტაკუდგან გენერალი სტესსელი იუწყება 14 ივნისს, რომ ტიან-ძინის თოფხანა, რომელიც მეამბოხეთა ძლიერ თავშესაფარს შეადგენდა, საიდგანაც ისინი დიდ ვნებას აყენებდნენ ევროპიელთა უბანს, აღებულ იქმნა“.

**ვენა.** აქ არაფერი უწყიან პარიჟიდგან გადმოცემულ ამბის შესახებ. ეს ამბავი შეეხება სახელმწიფოთა შეთანხმებას, რომ ჩინეთს ჯილდო მოსთხოვონ. ასევე არაფერი უწყიან იმ შეთანხმებისა, რომელიც ჩინეთში გასაგზავნ საერთა შორის ჯარის გაჰკვრებას (80,000 კაცამდე) შეეხება. სახელმწიფოთა შეთანხმება უპიოველესს ყოვლისა შეეხება საერთო მოქმედებას განსაცდელში მყოფ ქვეშევრდომთა დასაცველად, გამოგონილია აგრეთვე ის ამბავიც, ვითომ ახლო მომავალში სამ იმპერატორს ერთმანეთის ნახვა აქვს განზრახულიო.

**ვაშინგტონი.** მინისტრებმა გარეშე საქმეთა, სამხედრომ და საზღვაომ გადასწყვიტეს, რომ ახალი ინსტრუქციები ჩინეთში მყოფ ამერიკის ელჩისთვის საჭირო არ არის. ახალი ჯარი მხოლოდ მაშინ გაიგზავნება, როდესაც ელჩი მოითხოვს.

**ვორონეჟი.** 18 ივნისს მატარებელი № 21 ხარკოვის მახლობლად ლიანდაგიდგან გადავიდა. ჯერ-ჯერობით 4 მოკლული კაცის გვამი და 10 დაჭრილი კაცი ჰნახეს.

**ნიუ-იორკი.** გობოკენის ნავთ-სადგურის შენებლებზედ ძლიერის ცეცხლის გაჩენის დროს დაიწვა ოთხი გემთმისამართი ჩრდილოეთ-გერმანიის ლლოიდისა; ძლიერ დაშავდნენ გემები: „მაინი“, „ბრემენი“; ოდნავ დაზიანდა: „ზაალე“ და „ბრემენი“. ერთ გემთ-მისამართი დინამიტით იქნა აფეთქებული, რომ ცეცხლის გავრცელებას შეეჩერებინა. როდესაც ცეცხლი გაჩნდა, ბევრი წყალში გადაცვივდნენ; მათგან ზოგი დაიხრჩო. ზოგი კიდევ ცეცხლში დაიღუპა. ამბობენ, ცეცხლმა და წყალმა მრავალი კაცი იმსხვერპლაო. ზუსტად ჯერ გამოკვლეული არ არის, რამდენი კაცი დაიღუპა. „ზაალეს“ და „ბრემენზე“ მხოლოდ გემის მოსამსახურენი იყვნენ. პირველად გემი „კაიზერ ვილჰელმი“ გაიყვანეს. წინ და რიგი გემებზე სოლდარი იყო განსაცდელის დროსაც-კი. ცეცხლი ისე ჩქარა გაძლიერდა, რომ სხვა გემების გაყვანა ვეღარ მოასწრეს. მოკლულთა რიცხვის გამოკვლევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც გემებზედ მყოფ მგზავრთა სიას შეადარებენ მოკლულთა და საავადმყოფოებში მყოფ დაჭრილთა რიცხვს.

**რეიხშტადტი.** მოხდა ჯვარის-წერა ერცჰერცოგის ფრანც-ფერდინანდისა და გრაფინია ხოტეკისა. გრაფინია ამიერიდგან კნეინა გოენბერგად იწოდება.

**პარიჟი.** დაიწყო საერთა-შორისო სამიწად-მოქმედო კრება ჟან დიუპუის თავმჯდომარეობით.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივნისი.

| | მყიდველისა | | გამყიდველისა | | გაყიდულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | — | „ | — | „ | 203½ | |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — | „ | — | „ | 90 | |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — | „ | 101 | | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — | „ | 98 | | — | „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | 98 | | — | „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — | „ | — | „ | 86½ | |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — | „ | 98 | | — | „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — | „ | 90 | | — | „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | „ | — | „ | 303½ | |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — | „ | — | „ | 261½ | |

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უღრმესს მადლობას ვუცხადებთ კნ. ეკატერინე გიორგის ასულს ერისთავისას, რომელმაც გადმოგვცა ყვირილის წიგნთ-საცავ-სამკითხველოსათვის 15 აპრილს მის მიერ გამართულ საცეკვაო საღამოდგან დარჩენილი წმინდა შემოსავალი, 101 მ. 50 კაპ.

ყვირილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე წევრნი: ივანე არდიშვილი და
ილია მაღლაკელიძე

—

მაცხოვრის ეკკლესიას შემოსწირა კრეტსაბმელი, ღირებული სამ მანეთად ნოჯიხევის საზოგადოების უფროსმა მასწავლებელმა ვლადო იესეს ძე გაგუამ და ახალქალაქის ვაჭარმა გერასიმე ხუხიამ—ტრაპეზის ფარჩა, ღირებული რვა მანეთად, ხობისავე ვაჭარმა ყარამან გაბუნიამ—ტრაპეზის გადასაფარებელი აბრეშუმი, ექვს მან. ღირებული და მალხაზ შონიამ—ტრაპეზის იატაკზე გასაშლელი ოთხი არშინი ფარჩა, ღირებული ოთხ. მანეთად და აზ. ელიზბარ ქაჯაიამ—10 გირ. სანთელი. შემომწირველთ უღრმეს მადლობას ვუძღვნით.

მღვდელი ნესტორ სახანია

—

უმდაბლესად მადლობას ვუცხადებ [illegible] ბატონ იოზარ მიხეილის ძეს [illegible], რომელმაც გადმომცა რვა მანეთი ფული ჩემდამი რწმუნებულ სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ [illegible] წიგნების სასყიდლად [illegible].

სოფ. შილდის სკოლის მასწავლებელი ონისიმე [illegible].

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ[...] ლა იმათ, რომელთაც ქუთაისის წმ. [...]რგის ეკკლესიის გალავნის გასაკეთებ[...] და ეკკლესიის სხვ-და-სხვა საჭიროებისა[...] შეაგროვეს და გადმოგვცეს ფული. ი[...] გარდა, რომელთაც წარსულ წელში ა[...] საგნისა გამო განვუცხადეთ „ივერიისვე“ შუალებით მადლობა (იხ. „ივერია 1899 № 238), შეაგროვეს და გადმოგვცეს ამ გნიხთვის ფული: მარიამ ანდრიას ასუ[...] მგალობლიშვილისამ 15 მ., პარასკევა [...]ვანის ასულმა მატარაძისამ 4 მ. 35 [...] ნინა სოლომონ გრიგოლაშვილის ასუ[...] 10 მ., ვლადიმერ ივანეს ძე კანდელ[...] 13 მ. 95 კ., არჩილ ლევანის ძე [...]ქიშვილმა 1 მ., ნინო მიხეილ არჯე[...] ასულმა 11 მ. 45 კ., მარგარიტა [...]ტის ასულმა არჯევანიძისამ 43 მ. ეკატერინე სპირდონ წერეთლის ასულ[...] მ. 50 კ., ნინო ავთანდილის ასულმა [...]შვილისამ 7 მ., მარიამ პიმენ გაბაშ[...] ასულმა 4 მ., მაკრინე ვასილის [...] ჩიკვაიძისამ 7 მ., ამ ერკი იოსების [...] ცქიტიშვილმა 17 მ., ილარიონ თომას [...] ლორთქიფანიძემ 2 მ., ირინე იოსების ასუ[...]მა ლორთქიფანიძისამ 6 მ. 75 კ., ნიკოლ[...] სიმონის ძემ ქურციკიძემ 3 მ. 50 კაპ., [...]რამან მარჯანიშვილმა 1 მ. 75 კ., სე[...] სიმონის ძემ ავალიშვილმა 1 მ., ლუკა [...]ვითის ძემ აბულაძემ 2 მ., ეკატერინე [...]ორგი ნაცვალოვის ასულმა 6 მ., მარ[...] გიორგი ნაცვალოვის ასულმა 11 მ. 38 [...] ბესარიონ ანდრიას ძემ გაბადაძემ 10 [...] 55 კ., ზაქარია გაბრიელის ძემ შ[...]შვილმა 12 მ., ერმალოზ ლევანის ძემ [...]ხუეიშვილმა 37 მ. 70 კ., მეთოდე ლ[...] არსაბის ძემ ჩიკვაიძემ 1 მ., დავით იე[...] ძემ ჩიმაკაძემ 1 მ. ფულის შეგროვებ[...] მთავრობის ნება-რთვით, ვთხოვეთ წარსუ[...] წელს უმეტესად იმათ, რომელთაც ამ ეკ[...]ლესიის გალავანში ჰყავთ დასაფლავებულ[...] ნათესავნი და ნაცნობნი. ზოგს მათგანს [...] მოსაწერი სია ჯერ კიდევ არ დაუბრუ[...]ბია, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ დ[...] გვიბრუნონ იგი. ფულიანი იქნება თუ უ[...]ლო, მაინც საჭიროა საქმეში ჩასაკერებლად.

ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესი[...]
მღვდელი ნესტორ ყუბანეიშვ[...]

## სასამართლოს ცნობები.

—

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შ[...]დეგი საქმეებია განსახილველად დანიშნუ[...] პირველ სისხლის სამართლის დ[...]

ტამნტში:

20 ივნისი

საქმე მელიტონ კვაჩალიას ძის რ[...] რომელსაც ცხენის ქურდობა ჰბრალ[...]

საქმე ალექსანდრე დათუნაიშვილი[...]

27 ივნისი

საქმე ილია დიმიტრის ძის თუხარე[...] რომელსაც ბრალად ედება ხუთის კ[...] ხორბლისა და სამის კოკის ღვინის მოპ[...]

საქმე სანდრო ყარაშვილისა, რომელ[...] კაცის სასიკვდილოდ დაჭრა ჰბრალდება.


## განცხადებანი



თვით-მოძრავი ელევატორი ხან-აგოვის.

ასეთი ელევატორი დღე და ღამ [illegible] ნიშნავს [illegible] თვით-[illegible] [illegible] ზევით. ეს [illegible] სამე მინდვრებისა და ბაღების სარწყავად.

მსურველთ ამ ადრესით უნდა მიმართონ:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, Петербургская улица, № 12.

(15—102—12)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Іюня 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე